ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№–26

2023 წელი; 17 მარტი; 10:30 სთ. ქ. თბილისი; თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
გიორგი ჩაკვეტაძე
ნინო რუხაძე
ავთანდილ ცინცაძე
კახაბერ ლაბუჩიძე
ზაზა თავაძე
აკაკი ალადაშვილი
დავით ფარცვანია

მოწვეული პირები:

- ირაკლი თავართქილაძე - სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსი;
- ქვარა ჩართოლანი - ა(ა)იპ - თბილისის განვითარების ფონდის დირექტორის მოადგილე;
- დავით ჯაიანი - სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- ვასილ აბულაძე - სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- ლევან მიქავა - საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
- ირაკლი გვილავა - კულტურის, განათლების სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი;
- სალომე ჩხეიძე - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
- საერგო ბირკაძე - იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი;
- გიორგი ინაური - შპს „თბილსერვის ჯგუფის“ წარმომადგენელი;

სხდომის თავმჯდომარე:
ლევან ჟორჟოლიანი

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის
უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

<u>დღის წესრიგი</u>

1. „„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19-118 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის" პროექტის შესახებ 2022 წლის 2 თებერვლის N2021.003798 საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

3. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. **თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

5. „„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

6. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო

საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

7. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

11. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

12. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

13. “ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ”ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის

22 დეკემბრის N19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ნიკე გრუპს" (ს/ნ: 405385578) შორის 2022 წლის 3 თებერვალს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდი დიღმის მე-2 მიკრორაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.06.002.073 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 3351 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „ნიკე გრუპის" (ს/ნ: 405385578) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

15. „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე მანაგაძის მე-4 ჩიხი N19-ში (საკადასტრო კოდი: 01.11.04.005.003.01.01.064) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 თებერვლის N41 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

16. "ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N101ბ-ში არსებული 49 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის (საკადასტრო კოდი: N01.17.08.025.012) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

17. "ქალაქ თბილისში, ერეკლე ტატიშვილის ქუჩა N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.02.006.004) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (69/616 ნაწილი) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

18. „ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა (კორპუსი) N29-ში არსებული 23.96 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.11.037.003.01.004ა) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

19. „ქალაქ თბილისში, ნოდარ ჯანგირაშვილის ქუჩა N1ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.13.020.016) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

20. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N74-ში არსებული 43.29 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.105.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

21. „ქალაქ თბილისში, თელავის ქუჩა N51-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.13.001.015) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

22. „ქალაქ თბილისში, ივანე მაჩაბლის ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.05.078.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

23. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებული 399 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.01.002.156) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

24. „ქალაქ თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა № 19-ში მდებარე 788 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.15.04.020.039) 20 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ანას კარისთვის“ (ს/ნ № 400343348) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

25. „ქალაქ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა N36-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: 01.10.17.023.001.01.01.033) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციისთვის“ (ს/კ: 405185400) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

26. „ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ N01.14.14.005.301 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ: 404573323) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

27. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის აქტებისა და ჩამოსაწერი ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

28. ,,შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და ნათელა ურუმაშვილის (პ/ნ: 01011013838) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

29. ,,შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართებზე - 1. ქ. თბილისი, სოხუმის ქ. 6 - არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ: N01.13.06.015.005); 2. ქ. თბილისი, ევდოშვილის ქ. 25 - არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ: N01.13.06.015.002) 3. ქ. თბილისი, აკ.წერეთლის გამზირი/ვახუშტი ბაგრატიონის ქ. N35/52- არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ: N01.13.06.015.014) - მიმართებაში მიღებული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში შპს „სანამის“ (ს/კ 402191150) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. „„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19-118 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საკითხი, საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - ლევან მიქავამ წარადგინა. მისივე თქმით, დედაქალაქის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, იზრდება სხვა შემოსავლების ნაწილში სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მისაღები შემოსავლები 1 530,8 ათასი ლარის ოდენობით.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, წარმოდგენილი პროექტით, ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 1 776 457,6 ათას ლარს. ასევე, პროექტში გათვალისწინებულია ასიგნებების გადანაწილება შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის: იზრდება კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში ქვეპროგრამის ასიგნება – 100,0 ათასი ლარით, თბილისის საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში - 70,0 ათასი ლარით, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა - 500,0 ათასი ლარით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს პროგრამის ასიგნება - 500,0 ათასი ლარით.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, იზრდება სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ასიგნება – 360,8 ათასი ლარით. ამასთან, სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა იზრდება 20 ერთეულით.

ლევან მიქავას თქმით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 638 663,4 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 137 794,2 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 578 563,4 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო გრანტები 474 962,8 ათასი ლარით. ამასთან, ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 774 926,8 ათასი ლარით, ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 267 907,8 ათასი ლარით, ხოლო ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა (95 678,7) ათასი ლარით.

საუბრის ბოლოს მომხსენებელმა თქვა, რომ დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე. დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ;

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის" პროექტის შესახებ 2022 წლის 2 თებერვლის N2021.003798 საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ დავით ჯაიანმა წარადგინა.

მისივე თქმით, 2022 წელს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტსა და კომპანია Mott MacDonald CZ-ს შორის გაფორმდა საკონსულტაციო კონტრაქტი 499,937.00 ევროს ოდენობით. თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ კონტრაქტით გათვალისწინებულ ხარჯებს აანაზღაურებს EBRD შესაბამისი გრანტის სახით.

დავით ჯაიანის თქმით, წარმოდგენილი ცვლილებით, დაგეგმილია გრანტის მოცულობის გაზრდა 240,000.00 ევროდან 500,000.00 ევრომდე. ამასთანავე, გრანტის ფულადი სახსრები გათვლილია კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად, როგორიცაა - ახალი სამარშრუტო ქსელის დანერგვა, გაჩერებების დიზაინისა და თითოეული მარშრუტის რუკების შექმნა, ასევე, ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერა და სხვა.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-100 მუხლის მე-3 პუნქტის ნაცვლად უნდა მიეთითოს ამავე კანონის მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტი. ამასთან, მიზანშეწონილია, რომ განკარგულების პროექტის პირველ პუნქტი გასწორდეს და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ;

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ, ვასილ აბულაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების შესახებ წესში" ცვლილებას.

დასაწყისისთვის, ვასილ აბულაძემ ვრცლად ისაუბრა საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M1 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანის რეფორმის შესახებ, რომელიც 2018 წლიდან დაიწყო და რამდენიმე ეტაპად დაიგეგმა. მისივე თქმით, პირველ ეტაპზე ლიცენზიები გაიცა. მეორე ეტაპზე, 2019 წლიდან ძალაში შევიდა რეგულაცია მარჯვენასაჭიანი

და განსხვავებული ფერის ავტომანქანების შეზღუდვაზე და ტაქსები ორ კატეგორიად გაიყო. მესამე ეტაპზე ლიცენზია უვადო გახდება და მფლობელის საკუთრება იქნება.

როგორც მომხსენებელმა განმრატა, იწყება რეფორმის მესამე ეტაპი, რომელიც 2023 წლის პირველი აპრილიდან უნდა შევიდეს ძალაში და ითვალისწინებს:

ფიზიკური პირებისთვის, რომლებიც 2019 წლის პირველი ოქტომბრიდან 2023 წლის 20 მარტამდე პერიოდში ნებისმიერ დროს ახორციელებდნენ საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანას „A“ კატეგორიის ნებართვით, პრინციპით - "ერთ პირს ერთი ნებართვა", უსასყიდლოდ გადაეცეთ „A“ კატეგორიის უვადო ნებართვები, რომლის ამოქმედებისთვის შესაბამის ფიზიკურ პირს 2023 წლის პირველი აპრილიდან 2024 წლის პირველ აპრილამდე შეეძლება ელექტრონულ მისამართზე: taxi.tbilisi.gov.ge მომხმარებლის პირადი სივრცის მეშვეობით გაიაქტიუროს „A“ კატეგორიის ნებართვა, ამ ვადის გასვლის შემდეგ მას უწყდება ნებართვის გააქტიურების უფლება და არ ექნება უსასყიდლო ნებართვით სარგებლობის შესაძლებლობა;

- 2023 წლის 20 მარტამდე გაცემული „A“ კატეგორიის ნებართვები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას და მათ მიმართ გამოიყენება ამ ნებართვის გაცემის დროს მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნები და წესები.

- 2023 წლის პირველი აპრილიდან ამოქმედდება სრულიად ახალი გამართული ელექტრონული სისტემა (taxi.tbilisi.gov.ge) და ამ სისტემის განახლების გამო 2023 წლის 20 მარტიდან ამავე წლის პირველ აპრილამდე „B“ კატეგორიისახალი ნებართვები არ გაიცემა, ხოლო 2023 წლის პირველი აპრილიდან განახლდება ნებართვების გაცემა №24-80 დადგენილებით განსაზღვრული წესით;

- 2023 წლის პირველი ივლისიდან დაიწყება იურიდიულ პირებზე ელექტრონულ მისამართზე: www.taxi.tbilisi.gov.ge „A“ კატეგორიის ნებართვების რეგისტრაცია და მათ მიეცემათ ამ კატეგორიის ნებართვების ფლობის უფლება №24-80 დადგენილებით განსაზღვრული წესით;

- ყალიბდება „A“ კატეგორიის ნებართვის გაცემის ფასის გადახდის ახალი წესი და მასთან დაკავშირებული სხვა ფინანსური რეგულაციები, ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ არ იცვლება ნებართვის გაცემის ფასის ოდენობა.

მომხსენებელის თქმით, იცვლება დადგენილებით დამტკიცებული ზემოაღნიშნული წესის სათაური. ასევე, ემატება ტერმინი „მომხმარებლის პირადი სივრცე“. ამასთანავე, ნებართვის გამცემად ცალსახად დგინდება სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო.

ვასილ აბულაძის განმარტებით, სრულიად ახალ პრინციპებზე დაყრდნობით ხდება ნებართვის მაძიებლის მიერ რეგისტრაციის გავლა და ნებართვის მიღება ან შეძენა. ამასთან, პირს, რომელიც არ არის ნებართვის მფლობელი, შეუძლია დარეგისტრირდეს შესაბამის ელექტრონულ მისამართზე მომხმარებლის პირად სივრცეში „A“ კატეგორიის ნებართვის შეძენის ან სარგებლობაში მიღების მიზნით.

მისივე განმარტებით, ვინაიდან „A“ კატეგორიის ნებართვის მიღების უფლება ფიზიკურ პირებთან ერთად 2023 წლის პირველი ივლისიდან ეძლევათ იურიდიულ პირებსაც, ცალკ-ცალკე ყალიბდება ნებართვის მაძიებელი ფიზიკური პირების და იურიდიული პირების მიერ ელექტრონულ მისამართზე პროცედურების გავლის პრინციპები;

საკითხის წარმომდგენმა ასევე განმარტა, რომ A კატეგორიის ტაქსის მძღოლებს პირველი აპრილიდან მგზავრების აყვანა-ჩამოსმა ავტობუსის ზოლშიც შეეძლებათ. მისივე თქმით, თბილისის მერიამ აღნიშნულ საკითხზე შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად იმუშავა.

საუბრის ბოლოს ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წარმოადგენელმა აღნიშნა, რომ:

- ✓ დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, დადგენილების ამოქმედებამდე გაცემული ნებართვა ინარჩუნებს იურიდიულ ძალას. ამასთანავე, გამოიყენება ამ ნებართვის გაცემის დროს მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნები და წესები.

- ✓ დადგენილება, გარდა დადგენილების პირველი მუხლით ჩამოყალიბებული მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებისა ამოქმედდება 2023 წლის პირველი აპრილიდან. ხოლო, დადგენილების პირველი მუხლით ჩამოყალიბებული მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ამოქმედდება 2023 წლის 20 მარტიდან.

- ✓ ამასთან, დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის, ხოლო, დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა დადენილების პროექტის მიმართ გააჟღერა მთელი რიგი სამართლებრივი და ტექნიკური ხასიათის შენიშვნები, რომლებიც აისახა კომისიის დასკვნაში და რაც გათვალისწინებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ;

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების/რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ვასილ აბულაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, დადგენილების პროექტი და განმარტა, რომ ცვლილება ხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დებულებაში. ცვლილების

თანახმად, სააგენტოს ემატება ახალი სტრუქტურული ერთეულები - სანებართვო-ანალიტიკური სამსახური და საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების კონტროლის სამსახური.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, წარმოდგენილი ცვლილება განპირობებულია საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M1 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანის რეფორმის მესამე ეტაპის სრულყოფილად განხორციელების უზრუნველსაყოფად. მისივე თქმით, აღნიშნული სამსახურების უფლებამოსილება იქნება სანებართვო საქმიანობასთან და სანებართვო პირობებთან დაკავშირებულ საკითხებზე ნებართვის მფლობელ პირებთან ურთიერთობის წარმოება და ასევე, კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის დაჯარიმება.

ასევე, მომხსენებლის განმარტებით, 2022 წლის ივნისიდან, მას შემდეგ რაც ამოქმედდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134[1] მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სამუშაოების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის გარეშე ან სქემის დარღვევით წარმოების შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის დაჯარიმებას, გამოიკვეთა სამართალდარღვევათა ასეულობით შემთხვევა, რაც დღის წესრიგში აყენებს სააგენტოსთვის კიდევ ერთი სტრუქტურული ერთეულის - საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების კონტროლის სამსახურის შექმნის აუცილებლობას.

როგორც საკითხის წარმომდგენმა განმარტა, მიზანშეწონილია სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის სამსახურის უფროსის არყოფნის ან მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის პერიოდში სამსახურის უფროსის მოვალეობა დაეკისროს ამ სამსახურის რომელიმე თანამშრომელს.

დასასრულს, ვასილ აბულაძემ თქვა, რომ დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, სასურველია დადგენილების პროექტის 1-ელი მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი გასწორდეს ტექნიკურად და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ;

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ვასილ აბულაძემ სხდომაზე წარადგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად

განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილებას. კერძოდ, აღნიშნული დადგენილების მე-3^2 მუხლის, მე-3 პუნქტის შემდეგ, შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტის დამატებას:

„3^1. ვადიან სამგზავრო ბარათზე ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი დროის მონაკვეთის მიხედვით დარიცხული თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება.“

როგორც ვასილ აბულაძემ განაცხადა, ზემოაღნიშნული დადგენილების 3^2 მუხლით განისაზღვრა, რომ საზოგადოებრივი ტრანპორტით ავტობუსებით (M2 და M3 კატეგორიები), (მეტრო), (საბაგირო), მგზავრობისას, მგზავრობის ფასის გადახდა, მათ შორის შესაძლებელია ვადიანი სამგზავრო ბარათით. აგრეთვე დადგინდა ვადიანი სამგზავრო ბარათის ღირებულება დროის მონაკვეთის მიხედვით. იმის გათვალისწინებით, რომ ხშირია შეძენილ ბარათებზე დარიცხული თანხის უკან დაბრუნების მომართვიანობის შემთხვევები, მიზანშეწონილია აღნიშნულ წესში დაფიქსირდეს, რომ მსგავსი ფაქტების არსებობისას დარიცხული თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება.

დასასრულს, მომხსენებელმა განმარტა, რომ დადგენილების ამოქმედებისთვის საჭირო მუნიციპალიტეტის 2022 წლის საბიუჯეტო სახსრები გათვალისწინებული იქნება სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საკუთარი შემოსავლებიდან. ამასთან, დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე. დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ;

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ვასილ აბულაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს განუმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით ცვლილება ხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესში“, კერძოდ, წესის მე-11 მუხლის მე-12 პუნქტში. ცვლილების მიხედვით, საცნობი ნიშნის დაკარგვასთან ერთად, ასევე დაზიანების შემთხვევაშიც, მისი აღდგენის თხოვნით სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილობით მიმართავს საცნობი ნიშნის კანონიერი მფლობელი და აღდგენისთვის მასვე ეკისრება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიშზე თანხის გადახდის ვალდებულება ათი ლარის ოდენობით.

დასასრულს, ვასილ აბულაძემ განაცხადა, რომ დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე. დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძველებიდან ამოღებულ იქნას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240[1] მუხლის მე-4 ნაწილზე მითითება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ;

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ა(ა)იპ - თბილისის განვითარების ფონდის დირექტორის მოადგილემ ქვარა ჩართოლანმა სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი და წარმოადგინა შესაბამისი დადგენილების პროექტი. მისივე თქმით, ცვლილების მიხედვით, დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის" 72-ე მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით და დანართი 1.11-ით (შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკა) განსაზღვრულ არეალებზე დროებითი შეზღუდვის პერიოდში IV და V კატეგორიის ავარიულ შენობა-ნაგებობებთან ერთად, დასაშვები ხდება ასევე III კატეგორიის ავარიულობის მქონე შენობა-ნაგებობების ჩანაცვლების მიზნით მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარება.

მომხსენებელმა აღსანიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. ამასთან, დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ;

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. კულტურის, განათლების სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა - ირაკლი გვილავამ, წარმოადგინა დადგენილების პროექტი და განმარტა, რომ რიგი ცვლილებები ხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-12 დადგენილებით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულებაში“.

მისივე განმარტებით, წარმოდგენილი პროექტით, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების ფუნქციების ნაწილში დაზუსტდა ზოგიერთი უფლებამოსილება, წარმატებული სტუდენტების წახალისების, უმაღლესი განათლების მხარდაჭერის და სტუდენტთა ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი დაფინანსების პროგრამების განხორციელების მიმართულებით. ამასთანავე, სამსახურის უფლებამოსილებების ნაწილში ემატება განათლების და ახალგაზრდობის მიმართულებით ინფრასტრუქტურის განვითარება, ახალი ცენტრების მშენებლობის მიზნით პროექტების მომზადება და განხორციელება.

როგორც ირაკლი გვილავამ მანმარტა, სპორტის განყოფილების ფუნქციებს ემატება სპორტული მედიცინის და ფიზიკური რეაბილიტაციის სერვისების განვითარების ხელშეწყობის ფუნქცია.

მომხსენებელმა ისაუბრა პროექტით გათვალისწინებულ ცვლილებებზე, რომელიც შეეხება, მონიტორინგისა და შეფასების განყოფილების ფუნქციებსა და უფლებამოვალეობებს და აღნიშნა, რომ განყოფილების ფუნქციებს ემატება „მონიტორინგისა და შეფასების განყოფილების მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მომზადება და სამართლებრივი აქტების და სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტების განხორციელების შესახებ დადებული ხელშეკრულებით მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების გაანგარიშება მოხდება, სამსახურის შემდეგი პროგრამების მიმართულებით: „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“, „შემოქმედებითი თბილისი“ და „ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა.

საუბრის ბოლოს, მერიის წარმომადგენელმა თქვა, რომ პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან და სამართლებრივი აქტის პროექტი არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა დადგენილების პროექტის მიმართ გააჟღერა მთელი რიგი მოსაზრებები, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ;

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და წარმოდგენილი მოსაზრებების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ირაკლი გვილავამ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ წესში შემდეგი ცვლილებების განხორციელებას:

1. მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით, რაც ითვალისწინებს, ქვეპროგრამის ჩართვის მსურველი, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული საქართველოს მოქალაქეებისათვის ქვეპროგრამაში რეგისტრაციის დღისთვის ბოლო 6 თვის განმავლობაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უწყვეტად რეგისტრაციის წინაპირობას;

2. მე-3 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები ყალიბდება ახალი რედაქციით, რითაც:

- მოსარგებლეებს ექნებათ შესაძლებლობა, გარდა შესაბამისი ბარათისა და მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა, მოსარგებლის საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ პლასტიკურ ბარათზე შესაბამისი რაოდენობის ვიზიტის ელექტრონულად ასახვით, ისარგებლონ ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით;

- მე-3 პუნქტს ემატება სიტყვები: „მომსახურების მიმწოდებლის მიერ“, რითაც, ზუსტდება, რომ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ბარათი, მოსარგებლეებს მომსახურების მიმწოდებლის მიერ გადაეცემათ სარგებლობაში უსასყიდლოდ, ხოლო დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში ბარათის ხელმეორედ დამზადების საფასურს იხდის მოსარგებლე;

- მითითებული მუხლის მე-4 პუნქტიდან ხორციელდება მომსახურების მიმწოდებლად მითითებული სუბიექტის ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი-ს“ ამოღება და ნაცვლად მიეთითება შემდეგი: მომსახურების მიმწოდებელია საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირი, რითაც, მომსახურების მიმწოდებელთა წრე გაფართოვდება და აღნიშნულ ცენტრთან ერთად, საჯარო ან კერძო სამართლის სხვა იურიდიულ პირებსაც მიეცემათ საშუალება ჩაერთონ ქვეპროგრამაში, რაც უზრუნველყოფს ბენეფიციართა ინდივიდუალური ტერიტორიული მოთხოვნის დაკმაყოფილებას და ხელს შეუწყობს ქვეპროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობის ზრდას.

ირაკლი გვილავამ ასევე ისაუბრა პროექტით გათვალისწინებულ ძირითად ცვლილებებზე, რომლითაც განისაზღვრება მომსახურების მიმწოდებლის მიერ ქვეპროგრამაში ჩართვისათვის საჭირო წინაპირობები და პროცედურები/ღონისძიებები. მისივე თქმით, მოსარგებლეების მიერ მომსახურების მიმწოდებლისათვის წარსადგენი ცნობები რეგისტრაციის ადგილის და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, შესაბამისი დაწესებულებების მიერ გაცემულ უნდა იყოს ქვეპროგრამაში რეგისტრაციის დღისთვის არაუგვიანეს 1 თვით ადრე.

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, წარმოდგენილი ცვლილებებით, სამსახურის მიერ, მომსახურების მიმწოდებლის საჭიროებისამებრ შემოწმება შესაძლებელი იქნება ასევე „სატელეფონო კომუნიკაციის გზითაც“.

საუბრის ბოლოს, მერიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დადგენილება დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე. პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ასევე, არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა დადგენილების პროექტის მიმართ გააჟღერა მთელი რიგი შენიშვნები, რომლებიც აისახა კომისიის დასკვნაში და რაც გათვალისწინებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ;

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა - სალომე ჩხეიძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი და განმარტა, რომ ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში, აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ მე-4 მუხლის პირველ პუნქტში.

მისივე თქმით, წესისი ამჟამად მოქმედი რედაქციით, ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისიწინებული მომსახურებები 400 ლარიანი ვაუჩერით ფინანსდება. წარმოდგენილი ცვლილებით კი ვაუჩერის ღირებულება 450 ლარამდე იზრდება. ამასთან, ინდივიდუალური

განვითარების გეგმის 1/3 -ზე მეტი სეანსის არ ჩატარების შემთხვევაში, ვაუჩერის ღირებულება 280 ლარის ნაცვლად, განისაზღვრება ვაუჩერის სრული ღირებულების 70%-ით (გარდა მე-5 მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

საუბრის ბოლოს, მერიის წარმომადგენელმა თქვა, რომ დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე. დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ;**

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - **სერგო ბირკაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, დედაქალაქის მერი მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

სერგო ბირკაძის თქმით, დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებში ხორციელდება ცვლილება.

მისივე განმარტებით, ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამით მუნიციპალიტეტი თავისი ხარჯებით ახორციელებს ძველი ავარიული საცხოვრებელი კორპუსების ჩანაცვლებას. ამასთან, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობებში მცხოვრები პირების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მნიშვნელოვნად მიიჩნევს ბიზნეს სექტორის, დეველოპერების ჩართულობას ისტორიულ უბანში ავარიული სახლების ჩანაცვლება/რეაბილიტაციის პროცესში. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიხედვით, შესაძლებელი გახდება **ავარიული სახლის მესაკუთრეებთან შეთანხმების შემდეგ ბიზნეს სექტორმა მოახდინონ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების ან/და რეაბილიტაციის პროცესში მონაწილეობის მიღება.**

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ ბიზნესი, ავარიული სახლის ჩანაცვლებას ან რეაბილიტაციას მოახდენს მხოლოდ ააიპ **„თბილისის განვითარების ფონდის“** მიერ შემუშავებული დეტალური პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. აღნიშნულის სანაცვლოდ, კი მუნიციპალიტეტი ბიზნეს სექტორს სთავაზობს, რომ მის საკუთრებაში არსებულ მიწაზე, რომელიც უნდა მდებარეობდეს აუცილებლად კულტურული

მემკვიდრეობის დამცავ ზონის გარეთ (და არა ისტორიულ უბანში) გაუზარდოს შესაბამისი ოდენობის K-2 კოეფიციენტი.

სერგო ბირკაძემ განაცხადა, რომ ცვლილების მიხედვით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის მესაკუთრეებს მიეცემათ შესაძლებლობა, რომ მათი საკუთრების, მათი ქონების გასხვისების/გაყიდვის პროცესი აუქციონის საშუალებით უზრუნველყოს მერიამ. ამ მიზნით:

I - ეტაპი

ა) ავარიული საცხოვრებელი კორპუსის ყველა მესაკუთრე უნდა შეთანხმდეს თავიანთი ქონების (მთლიანი შენობის) გაყიდვის სურვილზე და განცხადებით მიმართონ შესაბამის გამგეობას;

ბ) საცხოვრებელი კორპუსის ავარიულობის ხარისხი უნდა იყოს V, IV ან III კატეგორია;

II - ეტაპი

გ) სსიპ - ქონების მართვის სააგენტო შეაფასებს ამ ქონებას;

დ) სსიპ - ქონების მართვის სააგენტო მიმართავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს და მიიღებს წინასწარ პოზიციას ამ ქონების შემდგომი სამშენებლო განვითარების პოტენციალის შესახებ;

ე) ამ ინფორმაციას სსიპ - ქონების მართვის სააგენტო აუქციონის ჩატარებამდე, 2 თვის ვადით განათავსებს საჯაროდ, რათა ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდეს ყველა პოტენციური დაინტერესებული მყიდველისათვის;

III - ეტაპი

ვ) ნებისმიერ დაინტერესებულ მყიდველს, დეველოპერს, ბიზნესს ექნება შესაძლებლობა აუქციონის გამართვამდე მიმართოს მერიას და დამატებით გაიროს კონსულტაცია, მიიღოს წინასწარი პოზიცია გასაყიდი ქონების შემდგომი სამშენებლო განვითარების კუთხით;

IV - ეტაპი

ზ) სსიპ - ქონების მართვის სააგენტო აცხადებს აუქციონს მესაკუთრეთა მიერ განსაზღვრული საწყისი საპრივატიზებო საფასურით;

თ) თუ ქონება არ გაიყიდა პირველ აუქციონზე, მესაკუთრეთა თანხმობით ჩატარდება განმეორებითი აუქციონებიც (ჯამში არაუმეტეს 3-ჯერ ერთ ქონებაზე);

ი) ქონების გაყიდვის შემთხვევაში, მთავრდება აუქციონი და გაფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება ქონების მესაკუთრეებს, მყიდველს და მერიას შორის.

სერგო ბირკაძემ იქვე დასძინა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიხედვით, განაშენიანების რეგულირების წესებს დაემატება „თავი V^2 კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების ხელშეწყობის მიზნით მაკომპენსირებელი ღონისძიებების გამოყენება“ და „თავი V^3 კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, კერძო საკუთრებაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების გასხვისების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება“.

საკითხის წარმომდგენმა კომისიის წევრებს შეახსენა, რომ მერიის ერთ-ერთი პრიორიტეტია ასევე რეკრეაციული სივრცეების არამარტო შენარჩუნება, არამედ ახალი სივრცეების შექმნა. სწორედ ამ მიზნით, იმ მიწის ნაკვეთებზე, რომელიც არის კერძო საკუთრებაში და სადაც საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტი დაგეგმავს რეკრეაციული სივრცეების - პარკის, ბულვარის, საბავშვო მოედანის ან სპორტული შენობა-ნაგებობის (საწვრთნელი ბაზა, სპორტული მოედანი, სტადიონი, სპორტდარბაზი, ღია და დახურული საცურაო აუზი) მოწყობას, მერია ამ მიწის მესაკუთრეებს შესთავაზებს ამ მიწის სანაცვლოდ

სხვა კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე შესაბამისი ოდენობით K-2 კოეფიციენტის მომატებას. K-2 კოეფიციენტის მატება მოხდება მხოლოდ იმ მიწებთან მიმართებაში, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე არის მნიშვნელოვანი, ანუ თუ ეს მიწა გამოყენებული იქნება მხოლოდ რეკრეაციული სივრცეების მოწყობისათვის, და გარდა ამისა, ამ პროცესით, ანუ იმ მიწით, სადაც იგეგმება რეკრეაციული სივრცის მოწყობა, დაინტერესებული და ინიციატორი იქნება სახელმწიფო ან თავად მუნიციპალიტეტი. დედაქალაქის შემთხვევაში, კი ინიციატორი იქნება დედაქალაქის მთავრობა.

მომხსენებელმა განაცხადა, რომ განაშენიანების რეგულირების წესების 21-ე მუხლით განსაზღვრულია თუ რა შემთხვევებშია შესაძლებელი განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების შეცვლა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განაშენიანების რეგულირების წესების 21-ე მუხლის მე-2 პუნქტს ემატება „ი" და „კ" ქვეპუნქტები, რომლის მიხედვითაც კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება, გარდა მოქმედი წესებით განსაზღვრული შემთხვევებისა, დასაშვები იქნება ერთჯერადად ასევე შემდეგ შემთხვევებში: (ა) **კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გაცვლის ფორმით პრივატიზების გამოყენების სანაცვლოდ, კერძო საკუთრებაში არსებულ სხვა** მიწის ნაკვეთზე (გარდა კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული მიწის ნაკვეთისა) და (ბ) **კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების ხელშეწყობის მიზნით მაკომპენსირებელი ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში.**

ამასთან, იგივე მუხლის მე-4 პუნქტს ემატება 4^1 და 4^2 პუნქტები და ზუსტდება, რომ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გაცვლის ფორმით პრივატიზების გამოყენების სანაცვლოდ, კერძო საკუთრებაში არსებულ სხვა მიწის ნაკვეთზე (გარდა კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული მიწის ნაკვეთისა) - კ-2 კოეფიციენტის გადამეტება შესაძლებელი იქნება, თუ იარსებებს ყველა შემდეგი გარემოება:

- კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომელიც უნდა გახდეს თბილისის საკუთრება, იგეგმება პარკის, ბულვარის, საბავშვო მოედანის ან სპორტული შენობა-ნაგებობის (საწვრთნელი ბაზა, სპორტული მოედანი, სტადიონი, სპორტდარბაზი, ღია და დახურული საცურაო აუზი) მოწყობა;

- აღნიშნული ღონისძიებით დაინტერესებული და ინიციატორი უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო.

- მიწის ნაკვეთზე, რომელზეც განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებელი გადამეტებული იქნება ამ პროექტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გადამეტებულ ფართზე, არ გავრცელდება ამ განაშენიანების რეგულირების წესების 31-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომელიც განსაზღვრავს მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობის მაქსიმალური სიმაღლის დასაშვებობის კრიტერიუმებს.

მისივე განმარტებით, განაშენიანების რეგულირების წესების 39^1 მუხლი არეგულირებს თბილისის ტერიტორიაზე არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების ჩანაცვლებისა და

მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესების მიზნით, ავარიული შენობა-ნაგებობების მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების კრიტერიუმებს და წარმოდგენილი პროექტით ამ მუხლის მე-9 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით: „შენობა-ნაგებობის ავარიულობის ხარისხის დამადასტურებელი დასკვნა, რომელიც ადასტურებს, რომ ამ შენობა-ნაგებობის ავარიულობის ხარისხი არის IV ან V კატეგორიის. ამასთან, ეს დასკვნა გაცემული უნდა იქნას სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. იმ შემთხვევაში, თუ შენობა-ნაგებობა ავარიულობის საფუძვლით დემონტირებულია/დანგრეულია სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტირებული ექსპერტიზის ორგანოს მიერ 2023 წლის 1 იანვრამდე გაცემული დასკვნის საფუძველზე, დამატებითი დასკვნის წარმოდგენა სავალდებულო არ არის“.

სერგო ბირკაძემ აღნიშნა, რომ პროექტით ზუსტდება 39[1] მუხლის 13[1] პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებიც, კერძოდ, „დ“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს თუ რამდენი უნდა იყოს ჩანაცვლებულ შენობა-ნაგებობაში სარეალიზაციო ფართის ღირებულება. აქ ზუსტდება, რომ მხოლოდ იმავე ადგილზე ჩანაცვლებული შენობა-ნაგებობა კი არ იგულისხმება ამ დროს, არამედ ნებისმიერ მიწაზე ჩანაცვლების მიზნით აშენებული შენობა-ნაგებობა.

ხოლო, „ე“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს, რომ ეკონომიკური გაანგარიშების დროს არ იანგარიშება ავარიული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის ღირებულება. აქაც ზუსტდება, რომ ეკონომიკურ გაანგარიშებაში არ უნდა იანგარიშებოდეს, არა მხოლოდ უშუალოდ ავარიული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის ღირებულება, არამედ ნებისმიერი შენობა-ნაგებობის დემონტაჟის ღირებულება, რომელიც ჩანაცვლების მიზნით გამოიყენება.

საუბრის ბოლოს მერიის წარმომადგენელმა თქვა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას, ასევე, დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „ა“პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების მე-4[1] მუხლის „ა“ პუნქტში კ-2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება დასაშვები უნდა იყოს, არა ბაღისა და სკვერის მოწყობის საფუძვლით, არამედ უკვე ფაქტობრივად არსებული ბაღის და სკვერის შემთხვევაში.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ;

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. შპს „თბილსერვის ჯგუფის“ წარმომადგენელმა - გიორგი ინაურმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, დედაქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილების მე-3 პუნქტით დამტკიცებული „დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესში” (შემდგომში წესი) ცვლილებას.

მისივე თქმით, აღნიშნული წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია, რომ თბილისში შეგროვებული ნარჩენები თბილისის საკუთრებაა. ამასთან, დედაქალაქში წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირებას და ნაგავსაყრელის მოვლა-პატრონობას ახორციელებს მუნიციპალიტეტის მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული - სპეციალურად საამისოდ შექმნილი შპს „თბილსერვის ჯგუფი“.

როგორც გიორგი ინაურმა განაცხადა, აღნიშნული წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თბილისში უნარჩენო ეკონომიკის განვითარების, ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების, ნარჩენების გადამუშავებისა და უსაფრთხოდ გაუვნებლობის მიზნით, საკრებულოს თანხმობით მთავრობის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი (სამსახური) უფლებამოსილია: ორგანიზება გაუკეთოს ნარჩენების წარმოქმნის თავიდან აცილების, შემცირების, სეპარაციის, გადამუშავების და გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტების გამოყენების სტიმულირებას. მუნიციპალური ნარჩენების სეპარირების პროცესში მიღებული ღირებული პროდუქტების გამოყენების სტიმულირების ორგანიზების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ამ ნარჩენების მესაკუთრედ განისაზღვროს ის პირი, რომელსაც დავალებული აქვს ნარჩენების მართვა, რომელიც ახორციელებს ნარჩენების სეპარირებულად შეგროვებას, დახარისხებას-გადარჩევას, რათა შემდგომში მათ მიერ იქნას სეპარირებული ნარჩენები რეალიზებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მისივე თქმით, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოდგენილი დადგენილების პროექტით იცვლება საკრებულოს მიერ დამტკიცებულ წესის (დანართი 3) პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტიც.

მომხსენებლის განმარტებით, ცვლილებების მიხედვით თბილისში შეგროვებული ნარჩენების მესაკუთრე გახდება მომსახურების გამწევი პირი შპს „თბილსერვის ჯგუფი“, რომელიც განახორციელებს ნარჩენების სეპარირებულად შეგროვებას, მათ წინასწარ დამუშავებას და

შემდგომში ამ დაგროვილი მეორადი რესურსის (მუყაო, პლასტმასი, მინა, ჯართი, ხე) რეალიზაციას და შესაბამისი ღირებულების ამოღებას, ხოლო ამ ეტაპზე არასასარგებლო ნარჩენები კვლავ განთავსდება ნაგავსაყრელ პოლიგონზე. ასევე წესის სრულყოფის მიზნით „ტერმინთა განმარტებას“ ემატება „ღ“ პუნქტი „ნარჩენების განკარგვა“, რაც გულისხმობს ნარჩენების მესაკუთრის მიერ ნარჩენების განკარგვა/რეალიზაციას საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

საუბრის ბოლოს, შპს „თბილსერვის ჯგუფის“ წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან და დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში განსახორციელებელი ცვლილების მიხედვით თბილისში შეგროვებული ნარჩენების მესაკუთრე გახდება მომსახურების გამწევი პირი - შპს „თბილსერვის ჯგუფი“, რომელიც განახორციელებს ნარჩენების სეპარირებულად შეგროვებას, მათ წინასწარ დამუშავებას და შემდგომში ამ დაგროვილი მეორადი რესურსის (მუყაო, პლასტმასი, მინა, ჯართი, ხე) რეალიზაციას, მიზანშეწონილია აღნიშნულ ცვლილებასთან შესაბამისობაში მოვიდეს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის (გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის) და ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-100 დადგენილება და განისაზღვროს შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს საკუთრებაში არსებულ სეპარირებული შეგროვების შედეგად მიღებულ ერთგვაროვან ნარჩენებზე აუქციონის გამოცხადების წესი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ;**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ირაკლი თავართქილაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით ცვლილება ხორციელდება

საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში და დადგენილებით დამტკიცებულ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესს", ემატება მუხლი 7[1], რომლითაც დგინდება სეპარირებული შეგროვების შედეგად მიღებულ ერთგვაროვან ნარჩენებზე აუქციონის გამოცხადების წესი.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, აღნიშნული რეგულაციის შემოღება ხელს შეუწყობს ნარჩენების მართვის პროცედურის უფრო ეფექტურად შესრულებას და გაამარტივებს არსებული ნარჩენების მართვაზე მყისიერი რეაგირების განხორციელების შესაძლებლობას. ამასთან, აღარ მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების დაგროვება. ცვლილება მუნიციპალიტეტს აძლევს შესაძლებლობას აღარ განათავსოს ზემოხსენებული სეპარირებული ნარჩენი მუნიციპალურ საწყობში და აუქციონში გამარჯვებული პირი, თბილისის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირთან - ერთად, შეგროვებისთანავე მოახდენს სეპარირებული ნარჩენის გადამუშავებას და შესაბამის ტრანსპორტირებას, რაც მუნიციპალიტეტს გამოუთავისუფლებს შესაბამის რესურსებს.

ირაკლი თავართქილაძემ ასევე აღნიშნა, რომ გარდა ზემოაღნიშნულისა, წარმოდგენილი პროექტით ნაცვლად არსებული წინა სამუშო დღის 18 საათისა, აუქციონში მონაწილეობის მსურველს შეუძლია გადაიხადოს ბე უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ან წარმოადგინოს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ელექტრონული აუქციონის გამოცხადებიდან (დაწყებიდან) მის დასრულებამდე არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) წუთისა.

ამასთან, საკითხის წარმომდგენის თქმით, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს, წესის ცალკეული მუხლების და პუნქტების ამოღებას, რომლითაც რეგულირებულია განვადებით სარგებლობის ინსტიტუტი.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა დადგენილების პროექტის მიმართ გააჟღერა რამდენიმე შენიშვნა, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ;

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების/რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ირაკლი თავართქილაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ნიკე გრუპს" (ს/ნ: 405385578) შორის 2022 წლის 3 თებერვალს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდი დიღმის მე-2 მიკრორაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.06.002.073 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 3351 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „ნიკე გრუპის" (ს/ნ: 405385578) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო"), ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ნიკე გრუპს" (შემდგომში- კომპანია) შორის 2022 წლის 3 თებერვალს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდი დიღმის მე-2 მიკრორაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.06.002.073 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 3351 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას და აღნიშნული კომპანიის ჩანაცვლებას შპს „ლ.ბ დიღომი"-ით, აგრეთვე, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს - 75 600 (სამოცდათხუთმეტი ათას ექვსასი) ლარის) დაკისრებისაგან შპს „ნიკე გრუპის" გათავისუფლების საკითხების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

საკითხის წარმომდგენმა ვრცლად ისაუბრა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

- <u>ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და საკრებულოს 2021 წლის შესაბამისი განკარგულების საფუძველზე,</u> 2022 წლის 3 თებერვალს სააგენტოს ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და კომპანის შორის გაფორმდა ზემოაღნშნული ხელშეკრულება (შემდგომში - „ხელშეკრულება");

- ხელშეკრულების თანახმად ყოფილი კონკრეტული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებმა (36 (ოცდათექვსმეტი) პირი) განსაზღვრული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე;

- ხელშეკრულების საფუძველზე, კოოპერატივის წევრებისთვის ჯამურად გადასაცემი ფართი (თეთრი კარკასის მდგომარეობით) განისაზღვრა – 2 750 კვ. მ-ის ოდენობით, ასევე კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის შენობა-ნაგებობ(ებ)ის სრული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის მოპოვების უზრუნველყოფა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 9 (ცხრა) თვის ვადაში (ხელშეკრულების 3.4. პუნქტი).

- ხელშეკრულების 6.1.1. პუნქტის თანახმად, ნაკისრი ვალდებულებების (კერძოდ, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, შესაბამისი არქიტექტურული პროექტის შეთანხმების, სამშენებლო ნებართვ(ებ)ის მოპოვების, ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე შესაბამის პირთა საკუთრების უფლების რეგისტრაციის უზრუნველყოფის პირობით) შესრულების უზრუნველსაყოფად, კომპანიამ სააგენტოს სასარგებლოდ

წარადგინა ჯამში 700000 (შვიდასი ათასი) ლარის ოდენობის გამოუხმობადი და უპირობო საბანკო გარანტია.

- ხელშეკრულების 6.1.3. პუნქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ კომპანია დაარღვევდა ხელშეკრულების 6.1.1 ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ვადას, მას დაეკისრებოდა სააგენტოსთვის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება საბანკო გარანტიის ჯამური ოდენობის 0,1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

- ვინაიდან, შესაბამისი სრული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვება წარმოადგენს საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილ ვალდებულებებს, მათთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის გამო, კომპანიისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება 700 (შვიდასი) ლარით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

- ხელშეკრულების მიხედვით, კომპანიას მშენებლობის ნებართვა უნდა მოეპოვებინა არაუგვიანეს 2022 წლის 3 ნოემბრისა. თუმცა, აღნიშნული ვალდებულება დადგენილ ვადაში არ შესრულებულა. ვადის გაჭიანურება გამოიწვია შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ადმინისტრაციულ ორგანოებთან გარკვეული საკითხ(ებ)ის შეთანხმების პროცესის დაყოვნებამ.

- კომპანის მშენებლობის ნებართვა უნდა მოეპოვებინა ხელშეკრულების გაფორმებიდან 9 თვის ვადაში (არაუგვიანეს 2022 წლის 3 ნოემბრისა), თუმცა მშენებლობის ნებართვა გაიცა 2023 წლის 20 თებერვალს, რის გამოც პირგასამტეხლოს ოდენობად განისაზღვრა 75 600 (სამოცდათხუთმეტი ათას ექვსასი) ლარი.

- 2023 წლის თებერვალში, სააგენტოში წარდგენილია აღნიშნული კომპანიებისა და ამხანაგობა „ცისარტყელას“ ერთობლივი განცხადებები, რომელთა თანახმად, შპს „ლ.ბ დიღომი“ მზად არის შპს „ნიკე გრუპის“ ნაცვლად იკისროს ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები სრულად. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, შესათანხმებლად წარმოდგენილია შპს „ნიკე გრუპის“ გათავისუფლება პირგასამტეხლოსგან.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, ასევე წარმოდგენილია შეთანხმების პროექტის პირობები რაც ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს:

- ✓ შეთანხმებაზე ხელმოწერით, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამართლებრივ ურთიერთობაში შპს „ნიკე გრუპს“ სრულად ჩაანაცვლებს შპს „ლ.ბ დიღომი“. ამასთან, ამხანაგობა აცხადებს თანხმობას ხელშეკრულების მხარის ცვლილებასთან დაკავშირებით. ასევე, მას რაიმე პრეტენზია ან/და მოთხოვნის უფლება სააგენტოს ან/და შპს „ნიკე გრუპის“ მიმართ არ აქვს/არ ექნება.

- ✓ შპს „ლ.ბ დიღომი“ ვალდებულია შეთანხმების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში, სააგენტოს სასარგებლოდ წარადგინოს ჯამში 700 000 (შვიდასი ათასი) ლარის ოდენობის გამოუხმობადი და უპირობო საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა განსაზღვრული უნდა იყოს **არაუადრეს 2023 წლის 20 აგვისტომდე.** ამასთან, შეთანხმების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში, კომპანიები უზრუნველყოფენ მიწის ნაკვეთზე შპს „ლ.ბ დიღომის“ საკუთრების უფლების რეგისტრაციას, წინააღმდეგ შემთხვევაში, წინამდებარე შეთანხმება ავტომატურად ჩაითვლება ძალადაკარგულად.

როგორც **მომხსენებელმა** განაცხადა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მხრიდან მოწონებულ იქნა წარმოდგენილი შეთანხმების პროექტი და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა. ამასთანავე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, დაკისრებული პირგასამტეხლოსგან - 75 600 (სამოცდათხუთმეტი ათას ექვსასი) ლარისაგან შპს „ნიკე გრუპი“ გათავისუფლების საკითხი.

საუბრის ბოლოს, **სააგენტოს წარმომადგენელმა** თქვა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა განკარგულების პროექტის მიმართ გააჟღერა მთელი რიგი ტექნიკური და სამართლებრივი შენიშვნები, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ;**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. ირაკლი თავართქილაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა დედაქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით ხდება **„ქალაქ თბილისში, ალექსანდრე მანაგაძის მე-4 ჩიხი N19-ში (საკადასტრო კოდი: 01.11.04.005.003.01.01.064) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 თებერვლის N41 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება საკადასტრო კოდის მითითების ნაწილში.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური და პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. ირაკლი თავართქილაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა დედაქალაქის რამდენიმე რაიონში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხები და აღნიშნა, რომ ქ. თბილისში, ყვარლის ქუჩა N101ბ-ში არსებული 49კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ი პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა დევნილის სტატუსის არმქონე პირს, მოქალაქე გიორგი ვასაძეს, რომელიც 10 წელზე მეტია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. აღნიშნული დასტურდება შსს-ს წერილზე თანდართული გასაუბრების ოქმებითა და ასევე, მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერებით.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობა არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს შესაბამისი პროცედურები, მოთხოვნილი უძრავი ნივთის მოქალაქე გიორგი ვასაძის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად გიორგი ვასაძეზე და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ;

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და წარმოდგენილი შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქ. თბილისში, ერეკლე ტატიშვილის ქუჩა N9-ში მდებარე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 69/616 ნაწილი პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა დევნილის სტატუსის არმქონე პირს, მოქალაქე მაია ქსოვრელს.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სააგენტოში წარდგენილია შემდეგი დოკუმენტაცია:

- შსს-ს წერილი, რომლის თანახმად მაია ქსოვრელი დაახლოებით 9 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.
- მთაწმინდის რაიონის გამგეობის წერილი, რომლის მიხედვით, აღნიშნული მოქალაქე 2011 წლიდან ნამდვილად ცხოვრებს ზემოაღნიშნულ მისამართზე, ოჯახთან ერთად.
- მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებები რომელთა თანახმად, დაინტერესებული პირი 2011 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად მაია ქსოვრელის და მისი ოჯახის წევრების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური და პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ;

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, ისნის რაიონის გამგებლის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, წულაძის ქუჩა (კორპუსი) №29-ში მდებარე 23.96 კვ. მ. ფართობის უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა დევნილის სტატუსის არმქონე პირს - მოქალაქე ირმა კიკილაშვილს, რომელიც 2010 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. აღნიშნული დასტურდება გამგეობისა და შსს-ს ოქმებით. ასევე, სამი მოქალაქის ნოტარიულად დამოწმებული განცხადებით.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური და პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ;

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და

წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. დღის წესრიგის რიგით მე-19 საკითხთან დაკავშირებით ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, ქ. თბილისში, ნოდარ ჯანგირაშვილის ქუჩა N1ბ-ში მდებარე უძრავი ქონება (ჯამში 222.66 კვ.მ), პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 22 თებერვლის N23.218.232 განკარგულებით განსაზღვრულ 5 (ხუთი) პირს. აღნიშნული პირები დაინტერესებულ ფართებში ცხოვრობენ 1991-2004 წლებიდან, რაც დასტურდება ნაძალადევის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტებით, შესაბამისი მოქალაქეების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებითა და შსს-ს წერილზე თანდართული გასაუბრების ოქმებით.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სააგენტოში წარდგენილია დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების ამსახველი ფოტომასალა.

დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად დაინტერესებულ პირებზე და მათი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ;

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. როგორც ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, ისნის რაიონის გამგეობის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, საინგილოს ქუჩა N74-ში პირველ სართულზე მდებარე 43.29 კვ.მ ფართის უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა დევნილის სტატუსისი არმქონე პირს, მოქალაქე სალომე გელაშვილს, რომელიც 2004 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. აღნიშული დასტურდება შსს-ს წერილზე თანდართული ოქმითა და შესაბამისი მოქალაქეების სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებებით.

დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად სალომე გელაშვილის და მისი ოჯახის წევრების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ;

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. როგორც ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, ისნის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, თელავის ქუჩა №51-ში მდებარე უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემათ მოქალაქეებს: - მზია გაბისონიას - 41.06 კვ. მ. და მარიანა ბულიას - 41.06 კვ.მ. აღნიშნული მოქალაქეები 2012 წლიდან ფლობენ და სარგებლობენ დაინტერესებაში არსებულ ფართებს. აღნიშნული დასტურდება შსს-ს გასაუბრების ოქმებითა და მოქალაქეების სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებებით.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სააგენტოში წარდგენილია ამონაწერები სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან რომელთა მიხედვით მზია გაბისონიას ოჯახს მინიჭებული აქვს 1000 სარეიტინგო ქულა, ხოლო, მარიანა ბულიას ოჯახს მინიჭებული აქვს 11120 სარეიტინგო ქულა.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური, განკარგულების პროექტის პირველი და მეორე პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ;

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. ირაკლი თავართქილაძემ ისაუბრა სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ რიგით 22-ე საკითზე და აღნიშნა, რომ მთაწმინდის რაიონის გამგებლის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, ივანე მაჩაბლის ქუჩა N16-ში მდებარე უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა დევნილის სტატუსის არმქონე პირებს, მოქალაქეებს - ლალი მაჩაიძეს - 69.41 კვ.მ და და გიორგი კრასილნიკოვს - 98.88 კვ.მ. (ჯამში - 168.29 კვ.მ). აღნიშნული პირები 2011-2012 წლებიდან ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე, რაც დასტურდება შსს-ს წერილითა და ქონების გადაცემით დაინტერესებული პირების მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით.

სააგენტოს ხელმძღვანელის განმარტებით, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერის მიხედვით, გიორგი კრასილნიკოვს მინიჭებული აქვს დაბალი სარეიტინგო ქულა.

დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად დაინტერესებული პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის მეორე მუხლი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ;

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. დღის წესრიგის რიგით 23-ე საკითხთან დაკავშირებით ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანის დეკანოზ მიქაელ ბოტკოველის და დეკანოზ გიორგი უგრეხელიძის წერილობითი მიმართვის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, ვაკის რაიონში არსებული 399 კვ.მ მიწის ნაკვეთი, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიას, შემდგომში წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის ტაძრის სატრაპეზოს და სხვა დამხმარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მიზნით.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ;

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და წარმოდგენილი შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. ირაკლი თავართქილაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა დედაქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა № 19-ში მდებარე 788 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.15.04.020.039) 20 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ანას კარისთვის" (ს/ნ № 400343348) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე"; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა №19-ში არსებული 788 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ანას კარისთვის" იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა - 2024 წლის 20 ოქტომბრამდე;
- ✓ საიჯარო ქირის წლიური საფასური - 4800 (ოთხი ათას რვაასი) ლარი.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ აღნიშნული კომპანია იჯარის უფლებით 2024 წლის 20 ოქტომბრამდე ვადით ფლობს ქ. თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა №21-ში მდებარე უძრავ ქონებას.

დასასრულს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, 788 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან 20 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გაცემის საკითხს, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით, მიეცა დადებითი შეფასება. რეკომენდაციით - განთავსდეს მხოლოდ მაგიდები და სკამები შემომსაზღვრელი ქოთნების გარეშე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, განკარგულების პროექტის სათაური, ასევე, პირველი, მეორე და მესამე პუნქტები უნდა გასწორდეს და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ;

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

25. როგორც ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, ქ. თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა №36-ში, არსებული 60 კვ.მ ფართის უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის

უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2 (ორი) წლის ვადით გადაეცემა ა(ა)იპ „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციას“.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, დაინტერესებაში არსებული ფართი 2020 წლიდან აღნიშნულ ორგანიზაციას გადაცემული აქვს დროებითი სარგებლობის უფლებით, სადაც ქ. თბილისში მცხოვრები დაუნის სინდრომის მქონე 200-მდე მოზარდისთვის ხორციელება სხვადასხვა პროგრამული მიმართულებები და აქტივობები.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური და სამართლებრივი საფუძვლები გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ;

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

26. ირაკლი თავართქილაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ არსებული 2572 კვ.მ მიწის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობის N1-ის (სტადიონის) პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის“ სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2 (ორი) წლის ვადით გადაცემას, ფეხბურთის მოედნის ფუნქციონირებისა და მოვლა-პატრონობის მიზნით.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, ასოციაცია, წლების განმავლობაში ახორციელებს მასობრივ საფეხბურთო პროექტს MASTER LEAGUE-ს და ჩემპიონატებს მართავს მთელი ქვეყნის მასშტაბით. ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რაოდენობა გაზრდილია თითქმის 300%-ით. ჩემპიონატში ჩართულია უკვე 74 სამოყვარულო გუნდი და გასამართი მატჩების ოდენობა უკვე 700-ს აღემატება. აღნიშნული ჩემპიონატების ორგანიზებას ჭირდება საფეხბურთო მოედანი.

საკითხის წარმომდგენმა გააჟღერა უფლებამოსილი მუნიციპალური ორგანოს პოზიცია, რომლის თანახმად, მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ქონების ა(ა) იპ „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის“ სარგებლობის უფლებით გადაცემა, ფეხბურთის მოედნის ფუნქციონირებისა და მოვლა-პატრონობის მიზნით.

საუბრის ბოლოს, ირაკლი თავართქილაძემ თქვა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 ბიუჯეტიდან დამატებითი თანხების გამოყოფას.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძველებიდან ამოღებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122[1] მუხლის მე-9 პუნქტი. ასევე, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მესამე პუნქტი გასწორდეს და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ;

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

27. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა კომისიის წევრებს აცნობა, რომ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის გათვალისწინებით, მ/წლის 7 მარტს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, შესაბამისი წერილით ამავე საკრებულოში წარმოადგინა, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის აქტებისა და ჩამოსაწერი ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 ნოემბრის N26-82 დადგენილების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარტის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის აქტს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი წარუდგენს საკრებულოს დამტკიცების მიზნით, ამასთან, საკითხი საჭიროებს ქ. თბილისის საკრებულოს სხდომაზე განხილვას.

როგორც ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, განკარგულების პროექტს თან ახლავს ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის აქტიები და ჩამოსაწერი ქონების ნუსხა (222 ერთეული), აგრეთვე აუდიტორული კომპანია შპს „თი აი ეი ჯი აუდიტესკორტი“-ს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და ჩამოწერას დაქვემდებარებული ქონების აუდიტორული დასკვნა, შეფასებული 2023 წლის 8 თებერვლის მდგომარეობით. ამასთან, წარმოდგენილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივებისა და მატერიალური მარაგების საინვენტარიზაციო კომისიის 2022 წლის 15 დეკემბრის სხდომის ოქმი N3, რომლის მიხედვითაც, კომისიის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აუდიტორის მოწვევა ჩამოსაწერ ქონებაზე აუდიტორული გადაწყვეტილების მისაღებად, ხოლო, აღნიშნული კომისიის 2023 წლის 13 თებერვლის N4 ოქმის მიხედვით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის აპარატის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივებისა და მატერიალური მარაგების საინვენტარიზაციო კომისიის მიერ 2022 წლის 22 სექტემბრიდან 2022 წლის 15 დეკემბრამდე აღწერილი ინვენტარიზაციის შედეგების ამავე დაწესებულების

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისათვის წარდგენა, რომელიც თავის მხრივ აცნობებდა შედეგებს საკრებულოს თავმჯდომარეს.

საუბრის ბოლოს ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ აუდიტორული კომპანიის დასკვნით, ჩამოწერას დაქვემდებარებული აქტივების (222 ერთეული) გამოყენება ფუნქციონალური დანიშნულებით შესაძლებელი არაა. აქტივები დაზიანებულია, დაკარგული აქვთ თვისობივი მახასიათებლები, არიან ამორტიზებულნი, ხოლო აღდგენა შეუსაბამო ხარჯებთანაა დაკავშირებული. შესაბამისად მათ გააჩნიათ ნულოვანი ღირებულება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

28. ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ,,შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და ნათელა ურუმაშვილის (პ/ნ: 01011013838) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლმა, კომისიის წევრებს შეახსენა, რომ კანონმდებლობით დადგენილია დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის საჭირო დროებითი ღონისძიებები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. მისივე თქმით, ზემოაღნიშნულის საფუძველზე დედაქალაქის მერის მიერ თბილისის საკრებულოში სხვა დოკუმენტაციასთან ერთად, წარმოდგენილი იქნა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის (შემდგომში - კომისია) მ/წლის 13 მარტის სხდომის ოქმი N4.

როგორც მომხსენებელმა განაცხადა, კომისიას განცხადებით მიმართეს შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფმა“ და და ნათელა ურუმაშვილმა (შემდგომში - დაინტერესებული პირი) და მოითხოვეს მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1; ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3, ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. #6, კორპუსი 14,; ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29); ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2; ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ N 45-47-49; ქ. თბილისი, ბოხუას ქ. #10 - არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება.

კომისიამ 2023 წლის 13 მარტის სხდომაზე განიხილა განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი განცხადება და დოკუმენტაცია. საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- კომისიამ გასცა დადებითი რეკომენდაციები შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე, მათ

შორის ზემოაღნიშნულ მისამართებზე. ამ ეტაპზე, ყველა ობიექტზე მიმდინარეობს სხვადასხვა ტიპის სამუშაოები.

- ❖ ზემოაღნიშნულ ობიექტებზე მშენებლობის დაასრულებისთვის - შპს „სი ემ სი"-სა და შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფს" შორის 2020 წელს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, შპს „სი ემ სი", მათ შორის შეასრულებს პროექტის მენეჯმენტს, წინასამშენებლო მომსახურებას, უზრუნველყოფს შესაბამისი ტენდერების ჩატარებასა და გამარჯვებულების გამოვლენას;

- ❖ აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე შპს „სი ემ სი"-მ მოამზადა სამშენებლო ობიექტების დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღებისთვის საჭირო ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების ნუსხა და ხარჯთაღრიცხვა. იმისათვის, რომ მოხდეს აღნიშნულ სამშენებლო ობიექტებზე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების წარმართვა, საჭიროა გარკვეული თანხების მობილიზება.

როგორც **მომხსენებელმა** განმარტა, კომისიას განაცხადით და საპროექტო წინადადებით მიმართეს შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და წარმომადგენელმა და ნათელა ურუმაშვილმა. დაინრერესებული პირის თანასაკუთრებაშია მისამართზე - ქ. თბილისი, ოთარ ონიაშვილის ქ. N59-ში არსებული მიწის ნაკვეთი (N01.10.12.033.009, ფართობი - 438 კვ.მ). აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, რომლის ფარგლებში: მიწის ნაკვეთის ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-1) – 0.5; მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი (კ-2) – 2.1; მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) – 0.3. ამ ეტაპზე აშენებულია 5 მიწისზედა სართული.

დაინტერესებული პირი ითხოვს შემდეგი მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენებას:

ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებას 2.1-დან 2.7 -მდე;

ბ) მომატებულ ფართზე არ იქნას გათვალისწინებული სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციები და ავტოსადგომების რაოდენობის განმსაზღვრელი ნორმები.

საპროექტო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილია სამხარაულის დასკვნა, რომლის მიხედვით, 438 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ღირებულება 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 322 800 აშშ დოლარს, რაც გაცვლითი კურსით ეროვნულ ვალუტაში (2.6802) შეადგენს 865 169 ლარს.

იმ შემთხვევაში, თუ კომისია დაინტერესებული პირის საპროექტო წინადადებას განიხილავს, როგორც დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის მხარდამჭერ ღონისძიებას, გასცემს მოთხოვნის შესაბამისად რეკომენდაციებს, დაინტერესებული პირი გამოთქვამს მზაობას,ზემომითითებულ მისამართებზე შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუსრულებელი მშენებლობის ფინანსური მხარდაჭერა განახორციელოს კომისიის მიერ დადგენილი ოდენობით.

ლევან ჟორჟოლიანმა გააჟღერა კომისიის სხდომაზე გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმად, იმის გათვალისწინებით, რომ:

პშს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელ სამშენებლო ობიექტებზე ჩასატარებელია მთელი რიგი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, რაც მოითხოვს სოლიდური თანხის მობილიზებას. ამასთანავე, გამოდინარე იქედან, რომ საკითხთან დაკავშირებით მაღალია საზოგადოებრივი ინტერესი და შენობა-ნაგებობების დასრულებას და ექსპლუატაციაში მიღებას ელოდება ათასობით დაზარალებული პირი/ოჯახი, მათ შორის ემიგრაციაში მყოფი მოქალაქეები,

კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია:

438 კვ.მ. მიწის ნაკვეთთან მიმართებით წარმოდგენილი საპროექტო წინადადება განხილულ იქნას, როგორც შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების მხარდამჭერი ღონისძიება და გაიცეს დადებითი რეკომენდაციები; დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის ოდენობა განისაზღვროს შემდეგი პრინციპით და საანგარიშო ფორმულით:

L

X= — (K21 – K2)S

K2

სადაც: ა) X არის ფინანსური მხარდაჭერის ოდენობა; ბ) L არის 1კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ფასი; გ) K2 არის მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი; დ) K21 არის მიწის ნაკვეთისათვის მოთხოვნილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი; ე) S არის სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართობი.

მიწის ნაკვეთის საბაზრო ფასი დგინდება სამხარაულის დასკვნის საფუძველზე, აშშ დოლარში. ამასთან, თანხის გადახდა უნდა მოხდეს ლარში, გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

დასასრულს, კომისიის თავმჯდომარემ ასევე გააჟღერა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილება, კერძოდ:

შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფს“ და დაინტერესებულ პირს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, მისამართზე - ქ. თბილისი, ოთარ ონიაშვილის ქ. N59-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 438 კვ.მ) - მიმართებაში, განესაზღვროთ ქვემოთ ჩამოთვლილი ხელშემწყობი ღონისძიებები:

ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება 2.1-დან 2.7 - მდე;

ბ) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე არ იქნას გათვალისწინებული გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციები;

გ) დაინტერესებულმა პირმა თანხის 92 229 (ოთხმოცდათორმეტი ათას ორას ოცდაცხრა) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადარიცხვა უნდა განახორციელოს გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად;

დ) დაინტერესებულმა პირმა თანხის გადარიცხვა უნდა განახორციელოს სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას;

ე) დაინტერესებულმა პირმა მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებულ იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე.

ვ) ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, მიზანშეწონილია, რომ განკარგულების პროექტის სათაური, განკარგულების პროექტის პირველი და მე-2 მუხლი გაიმართოს ტექნიკურად და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ;

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

29. ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი. მანვე, კომისიის წევრებს შეახსენა, რომ კანონმდებლობით დადგენილია დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის საჭირო დროებითი ღონისძიებები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

მისივე თქმით, ზემოაღნიშნულის საფუძველზე დედაქალაქის მერის მიერ თბილისის საკრებულოში სხვა დოკუმენტაციასთან ერთად, წარმოდგენილი იქნა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის (შემდგომში - კომისია) მ/წლის 13 მარტის სხდომის ოქმი N4.

როგორც მომხსენებელმა განაცხადა, კომისიას განცხადებით მიმართა შპს „სანამი“-მ (შემდგომში - კომპანია) და მოითხოვა მისამართებზე - 1. ქ. თბილისი, სოხუმის ქ. 6 - არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ: N01.13.06.015.005, ფართობი - 588 კვ.მ); 2. ქ. თბილისი, ევდოშვილის ქ. 25 - არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ: N01.13.06.015.002, ფართობი - 843 კვ.მ); 3. ქ. თბილისი, აკ.წერეთლის გამზირი/ვახუშტი ბაგრატიონის ქ. N35/52- არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ: N01.13.06.015.014; ფართობი 2814 კვ.მ) - მიმართებაში გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, თანხის გადახდისათვის განსაზღვრული ვადის ცვლილება/გაზრდა.

კომისიამ 2023 წლის 13 მარტის სხდომაზე განიხილა განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი განცხადება და დოკუმენტაცია. საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

კომისიამ დადებითი რეკომენდაცია ზემოაღნიშნულ მისამართებზე არსებულ მიწის ნაკვეთებთან მიმართებით შესაბამის მხარდამჭერ ღონისძიებებთან დაკავშირებით, კომპანიის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის ფარგლებში. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ეს გადაწყვეტილება შეთანხმდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან (განკარგულება N469, 09.09.2022). ამასთან, კომისიამ ასევე გასცა დადებითი რეკომენდაცია დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ.

საკრებულოს ზემოაღნიშნული განკარგულების შესაბამისად, კომპანიას თანხის 626 774 (ექვსასოცდაექვსი ათას შვიდას სამოცდათოთხმეტი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადარიცხვა უნდა განეხორციელებინა სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, აღნიშნული განკარგულების მიხედვით, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას.

კომპანია ითხოვს მიღებული მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში:

საკრებულოს ზემოაღნიშნული განკარგულების ფარგლებში არსებული ფინანსური ვალდებულებისთვის განსაზღვრული ვადის ცვლილებას და მისი 6 (ექვსი) თვით გაზრდას.

ლევან ჟორჟოლიანმა გააჟღერა კომისიის სხდომაზე გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმად, იმის გათვალისწინებით, რომ:

კომპანიამ კომისიას მიმართა, მისამართზე - 1. ქ. თბილისი, სოხუმის ქ. 6 - არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 588 კვ.მ); 2. ქ. თბილისი, ევდოშვილის ქ. 25 - არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 843 კვ.მ); 3. ქ. თბილისი, აკ.წერეთლის გამზირი/ვახუშტი ბაგრატიონის ქ. N35/52- არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი 2814 კვ.მ) - მიმართებაში მიღებული მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, კომპანიის მიერ შესასრულებელი ვალდებულებების ვადის ამოწურვამდე და ამავე ვადაში მოითხოვა ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის გადახდისათვის - განსაზღვრული ვადის ცვლილება/გაზრდა.

კომისიამ, მიზანშეწონილად მიიჩნია:

ა) მოხდეს საკრებულოს ზემოაღნიშნული განკარგულებით განსაზღვრული ზემომითითებული ვალდებულების შესრულებისთვის ვადების ცვლილება/გაზრდა;

ბ) ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გადასახდელი თანხის გადახდისათვის დადგენილი ვადის ცვლილების/გაზრდის გამო დაინტერესებული პირის მიერ მოხდეს შესაბამისი თანხის გადახდა;

გ) შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის გადახდის ნაწილში დადგენილ ვალდებულებაზე ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით დაკისრებული გადასახადი განისაზღვროს შემდეგი პრინციპით და საანგარიშო ფორმულით:

F=(V*(1+R/365)^T)-V, სადაც:

ა) F არის შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის გადახდის ნაწილში შესასრულებელ ვალდებულებაზე ვადაგადაცილებული დღეებზე დაკისრებული გადასახადი;

ბ) V ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის გადახდის ნაწილში დარჩენილი შესასრულებელი ვალდებულების ოდენობა ლარში გადახდის ბოლო დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში;

გ) R არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 1 ივლისის N21.929.1041 განკარგულებით შექმნილ დოკუმენტალურ აკრედიტივზე განთავსებულ თანხაზე დარიცხული წლიური სარგებელი ბანკის მისაღები 1.5% სარგებლის გამოკლებით.

დ) T არის შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის გადახდის ნაწილში შესასრულებელ ვალდებულებაზე ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა.

საპროცენტო განაკვეთი (7%) გამომდინარეობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 1 ივლისის N21.929.1041 განკარგულებით შექმნილ დოკუმენტალურ აკრედიტივზე განთავსებულ თანხაზე არსებული წლიური სარგებელის განაკვეთისგან (8.5%) ბანკის მისაღები 1.5% სარგებლის გამოკლებით.

დასასრულს, კომისიის თავმჯდომარემ ასევე გააჟღერა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილება, კერძოდ:

კომპანიის მიმართ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, ზემოაღნიშნულ მისამართებზე არსებული მიწის ნაკვეთებთან მიმართებაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული და საკრებულოს მიერ შეთანხმებული ხელშემწყობი ღონისძიებები დარჩეს ძალაში, შემდეგი პირობით:

ა) კომპანიამ, 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად უზრუნველყოს:

ა.ა) თანხის 626 774 (ექვსასოცდაექვსი ათას შვიდას სამოცდათოთხმეტი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადარიცხვა, გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით;

ა.ბ) ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გადასახდელი თანხის გადახდისათვის დადგენილი ვადის (184 კალენდარული დღით) გადაცილების გამო, თანხის 62 829.62 (სამოცდაორი ათას რვაას ოცდაცხრა ლარი და სამოცდაორი თეთრი) გადარიცხვა;

ბ) შპს „სანამიმ", „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხების გადარიცხვა, ამავე ქვეპუნქტში მითითებული მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნით შექმნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს 2023 წლის 9 სექტემბერს;

გ) იმ შემთხვევაში, თუ შპს კომპანია „ა.ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხა გადაიხადა ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადამდე (09.09.2023-მდე), ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გადასახდელი თანხის გადახდისათვის დადგენილი ვადის გადაცილების გამო „ა.ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხა შეიცვალოს და დაანგარიშდეს შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$A_n=A_{n-1}*(1+r/365*d_n)-V$

სადაც:

A_n - არის შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის გადახდის ნაწილში შესასრულებელ ვალდებულებაზე ვადაგადაცილებულ დღეებზე n დარიცხვის რაოდენობის შემთხვევაში დაკისრებული გადასახადი;

A_{n-1} - არის შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის გადახდის ნაწილში შესასრულებელ ვალდებულებაზე პროცენტის წინა დარიცხვის დროს არსებული ნაშთი;

V - არის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის გადახდის ნაწილში დარჩენილი შესასრულებელი ვალდებულების ოდენობა ლარში გადახდის ბოლო დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში;

r - არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 1 ივლისის N 21.929.1041 განკარგულებით შექმნილ დოკუმენტალურ აკრედიტივზე განთავსებულ თანხაზე დარიცხული წლიური სარგებელი დამოწმებელი ბანკის 1.5% მომსახურების საკომისიოს გამოკლებით;

d_n - არის თანხაზე პროცენტის დარიცხვის დღეს სარგებლის დასარიცხი დღეების რაოდენობა.

საპროცენტო განაკვეთი (7%) გამომდინარეობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 1 ივლისის N 21.929.1041 განკარგულებით შექმნილ დოკუმენტალურ აკრედიტივზე განთავსებულ თანხაზე არსებული წლიური სარგებელის განაკვეთისგან (8.5%) დამოწმებელი ბანკის 1.5% მომსახურების საკომისიოს გამოკლებით;

დ) „ა"-„გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ამ განკარგულებით გათვალისწინებული პირობის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული განკარგულებებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, მიზანშეწონილია, რომ განკარგულების პროექტის სათაური, განკარგულების პროექტის პირველი და მე-2 მუხლი გაიმართოს ტექნიკურად და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ;**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

ურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **ლევან ჟორჟოლიანი**

სხდომის მდივანი **ნინო ჯალაღანია**